ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**g-29. 29250153**
თარიღი:**15/01/2025**

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლმდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურეობის თანადაფინანსების 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შეახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-3 ნაწილის, მე-4 ნაწილის, მე-19 მუხლის ,,ბ,, ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მეორე ნაწილის და ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 04 დეკემბრის N 18 დადგენილების შესაბამისად თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გადაწყვიტა:

მუხლი 1. დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურეობის თანადაფინანსების 2025 წლის პროგრამა თანდართული სახით.

მუხლი2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4. განკარგულება ჩაბარდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს.

მუხლი 5 . განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. N7) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი ბარათაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2400 ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. 7 ტელ. 049122-12-76; 7, CHANTURIDZE STR. TERJOLA,
TEL: 049122-12-76 EMAIL: TERJOLASAKREBULO@GMAIL.COM

დანართი

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურეობის თანადაფინანსების 2025 წლის პროგრამა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. **პროგრამის სახელწოდება:** თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურეობის თანადაფინანსების 2025 წლის პროგრამა.
2. **პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი:** 15 იანვარი 2025 წელი – 31 დეკემბერი 2025 წელი.
3. **პროგრამის ბიუჯეტი:** 5 000(ხუთი ათასი) ლარი.
4. **პროგრამის დაფინანსების წყარო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი.
5. **პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2 .პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები:

პროგრამის სრულყოფილად განხორციელება ხელს შეუწყობს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა რეაბილიტაციას.

მუხლი 3. სამედიცინო მომსახურების დაფინანსების ოდენობა:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა რეაბილიტაცია დაფინანსდეს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან წელიწადში არა უმეტეს 350 (სამასორმოცდაათი) ლარისა.

მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

1. პროგრამით სარგებლობის უფლება აქვს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ პირს.

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის მერიაში წარსადგენი დოკუმენტაცია:

შშმ პირის მშობელი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენს განცხადებას, რომელსაც თან უნდა დაერთოს:

ა) მშობლების პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან არასრულწლოვნის რეგისტრაციის ბარათი, ასევე დაბადების მოწმობის ასლი;

ბ) ცნობა, პროგრამით სარგებლობის მსურველი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა N100).

გ) გასაწევი სამედიცინო მომსახურების ხარჯების მოცულობის განმსაზღვრელი დოკუმენტი (ინვოისი, კალკულაცია) შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან.

დ) შეთანხმება სამედიცინო დაწესებულებასა და პაციენტის წარმომადგენელს შორის (დავალიანების არსებობის შემთხვევაში)

ე) შ შ მ პირის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 6. სამედიცინო მომსახურების დაფინანსების წესი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და ამზადებს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტს.

2.თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე, სამედიცინო მომსახურების დასაფინანსებელი თანხის ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით სამედიცინო დაწესებულების შესაბამის ანგარიშზე, რასაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტრის მერიის საფინანსო სამსახური.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი